ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 610

“19” დეკემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, კორპუსი №8-ში არსებული 33.26 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.009.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა კორპუს №8-ში არსებული 33.26 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.009.01.506)“ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 13 დეკემბრის №23.1885.2094 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, კორპუსი №8, 1 სართულზე არსებული 33.26 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.003.009.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ნინელი ჯაბახიძისთვის (პ/ნ. 01036005329) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე